

დღის




№175 (12 245) 27 ივლისი პარასკევი 2007
გამომდის 1934 წლიდან 50 თაობა

სხინვალი უმაღლესი პირ იტაიაშაზს?!

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა ჩატარდა. უნდა განხილულიყო უმაღლესი ლიგის მონაწილეთა საკითხი. ერთ-ერთი მთავარი თემა "ცხინვალის" უმაღლესში დაშვება გახლდათ. ლიგის გენერალურ მდივანს პაატა ბურჯალიანს ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ, თუმცა ამ ეტაპზე მშრალი ინფორმაცია მოგვანოდა: "დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ. საბოლოო გადაწყვეტილებას უმაღლესი ლიგის თაობაზე ხვალ ფედერაციის აღმასკომი გამოიტანს."
ბურჯალიანმა "ცხინვალის" თაობაზე არაფრის თქმა არ ისურვა. ეს საკითხიც აღმასკომზე გადაწყდება.


ინტარვიუ ნოდარ ახალკაცთან უეფამ აეროპორტი დაგვიწუნა! შესაძლოა, ლეგიონერებზე ლიმიტი დანესდეს



დავით ცაბაძე
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან სასაუბრო ბევრი დაგროვდა - ჩვენი ფედერაციის მუშაობა საერთაშორისო ფრონტზე, სტადიონების რეაბილიტაციის პროგრამა, უეფას თაისის ფინალის მასპინძლობის საკითხი, სანაკრებო თემა და კლავს ტოპმოლეურის კონტრაქტი. ჩანაფიქრი ლეგიონერთა ლიმიტის შესახებ... ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ ნოდარ ახალკაცს ფედერაციაში ვენვით.

კლავსურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
ჩვენი გოგონები ფლეიოფში
ლელოს სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი შვეიცარიიდან 9

ნითელი ღვინო და ორი ფინალი



კაბა ბერიძე
ბელგრადიდან
რეპორტაჟებს წარმოგიგებთ საქართველოს ოლიმპიური ფონდი

გუშინ, ევროპის ახალგაზრდობის IX ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში მეტად საინტერესო ღონისძიება გაიმართა. ბელგრადის მუნიციპალიტეტის, სერბეთის ოლიმპიური კომიტეტის, ევროპის ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტისა და გარემოს დაცვის კომიტეტის ინიციატივით, სერბეთის დედაქალაქის გამწვანება მოხდა. ისე, სიმართლე ითქვას, ბელგრადი წარგაგების დეფიციტს წამდვილად არ განიცდის, ყველა ქუჩა მწვანეშია ჩაფლული, მაგრამ, განა მეტი აწყენთ? ამ აქციის ორგანიზატორებმა პირობითად "ხეების დარგვის" ცერემონიალი დაარქვეს და სპეციალურად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჟაკ როგის საპატივცემულოდ ჩაატარეს. ბელგიელი დოქტორი სერბეთს 25 ივლისს ესტუმრა. მასპინძელთა გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ღონისძიებაში ოლიმპიურ ფესტივალზე მოასპარეზე ყველა ქვეყნიდან თითო სპორტსმენი მონაწილეობდა. მდინარე დუნაისთან "მეგობრობის პარკში" პირველი ხე თავად ჟაკ როგმა დარგო. შემდეგ სპორტსმენების რიგი დადგა. ოლიმპიურ სოფელში ჩვენი გუნდის მისიის ხელმძღვანელმა გიორგი ესაკიამ ამ მისიის შესრულება წარსულში გამოჩენილი მძლეოსნის, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილის შვილიშვილს, ლიკა დვალიშვილს დააკისრა, რომელიც ბელგრადელებს ერთი ქართული ხით შეენია. სულ "მეგობრობის პარკში" 49 ხე დაირგო და რაგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, თითოეულზე შესაბამისი ქვეყნის დროშები

მუდამ იფრიალებს. ასე რომ, ლიკაც, თავისებურად, ისტორიაში შევიდა.
"დამალეინეთ ერთი ჭიქა ღვინო და გარანტი-ას ვიძლევი, რომ აუცილებლად ფინალში გაველ!" - ამბობდა ნახევარფინალის წინა საღამოს ჩოგბურთელი ეკა გორგოძე. რა თქმა უნდა, მისი თხოვნა უმაღ დაკმაყოფილდა და 15 წლის ეკამ დანაპირები პირნათლად შეასრულა. ქართველმა ჩოგბურთელმა ბოლომდე შემართებით იბრძოლა და ფრანგი ჩგბურთელი შო ბაბუტი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა - 6:4, 6:4. "მთელი მატჩის განმავლობაში თავში სულ ის აზრი მიტრიალებდა, რომ პირობა არ დამერღვია. მოხარული ვარ, რომ სიტყვა შევასრულე. ეს გამარჯვება დელეგაციის ყველა წევრის დამსახურებაა. დიდი მადლობა ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც თამაშს არ ტოვებს და მამხმევებს". - მითხრა ეკა გორგოძემ. სიტყვას არ ტეხავს მისი კოლეგა გიორგი ხშიადაშვილიც. აკი, შეგვირდა ერთულთა თანრიგში პირველივე მატჩის ნაგების შემდეგ, წყვილებში თავს არ დავხოგავო. ასეც მოხდა და ფრანგებთან მეორე დეულშიც გამარჯვება ჩვენებურებს დარჩათ - 6:3, 7:6. მათი მისამართით საქებარი სიტყვების გარდა, არაფერი გვეთქმის. როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა შეჯიბრების ფინალში, ქართულ-სლოვენური ბრძოლის წინ ეკასა და გიორგისთვის ორი ჭიქა ნითელი ღვინოც ალალია.
მძლეოსნობაში ჩვენი გუნდის ერთადერთმა იმედმა გიორგი ბედოშვილმა, ბადროს ტყორცნის ფინალში თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. მან ბადრო 54.80 მეტრზე ისროლა, რაც მხოლოდ მეექვსე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. თუმცა ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის. ბედოშვილის მთავარი კოზირი ბირთვის კვრია, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპზე 17.71 შედეგით შევიდა და წინ ფინალური ასპარეზობა ელის.
ალბათ, მკითხველი შეეჩვია, რომ მსუყე ლუკმას ბოლოსთვის ვინახავთ. მართალია, ამჯერად ჩვენმა ძიუდოსტებმა შედარებით მოკრძალებული შედეგი აჩვენეს, მაგრამ ბრინჯაოს ერთი მედალიც თავისთავად დასაფასებელია. მწვრთნელები

გიორგი მერმანიშვილსა (73 კგ) და არჩილ შინჯიკაშვილზე (81 კგ) დიდ იმედებს ამყარებდნენ. ქართული დელეგაცია ჩოგბურთელთა წარმატებით გამხმეველები "ნიუ ბელგრადის" დარბაზში შეიკრიბა. დასაწყისი ცუდს არაფერს გვიქადა. მერმანიშვილმაც და შინჯიკაშვილმაც პირველი შეხვედრები შესაბამისად ნორვეგიელ და ლუქსემბურგელ მეტოქეებს მოუგეს. არჩილი ამის მერე პოლანდიელ გუდო სლოტბუმთან ვერაფერს გახდა. დამამშვიდებელში იტალიელი და ლატვიელი ძიუდოსტები დაამარცხა, ხოლო III ადგილისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში უკრაინელი დიმიტრი ლუჩინს ვერაფერი მოუხერხა. გიორგი მერმანიშვილმა ნახევარფინალამდე გზა უპრობლემოდ გაიარა ლუქსემბურგელ, ჩეხ და იტალიელ ძიუდოსტებთან ჭიდილში. თითქოს, დარბაზში ოქროს სუნი ტრიალებდა, მაგრამ რუსმა იუსუპ-ხაჯი აკსა-ნოვმა ამის ყველა იმედი გადაგვინწურა.

ნუგეზად კი ბეჭებზე გაკრული შვეიცარიელი რობინ პასეკი და ბრინჯაოს მედალი დაგვრჩა. დღეს ნიკა ხაჩიძე (90 კგ) და ვაჟა დაბრუნდაშვილი (მძიმე) გავლენ ტატამზე და ქვეყნის პრესტიჟის დაცვას შეეცდებიან. დღესდღეობით, ევროპის ფესტივალზე საქართველოს ძიუდოსტთა გუნდი აზერბაიჯანის შემდეგ, მეორე ადგილზეა.
რაც შეეხება არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლას, თამაშების მთავარი პრესცენტრის ბედოვლათობის გამო, ამ ინფორმაციის მოპოვება ოპერატიულად შეუძლებელია და ჟურნალისტებისთვის მხოლოდ მეორე დილით ხდება ცნობილი.



მარჯვნივ გიორგი მერმანიშვილი ავტორის ფოტო



ინტერვიუ ღვთისმშობლის ჩაპაიონატში დაბრუნებულ და თავს არ შევირცხვებით

ქუთაისის „ტორპედო“ ახალი სეზონისთვის 14 ივლისიდან ემზადება, თუმცა ქუთაისურებმა ჯერ კიდევ არ იციან, დაუშვებენ თუ არა მათ მე-19 ეროვნულ ჩემპიონატში. პროფლიგამ ნლეულს ნესები ძალიან გაამკაცრა. კლუბებს გარკვეული ფინანსური გარანტიები უნდა ჰქონდეთ, რომ ჩემპიონატში გამოსვლის ნებართვა მიეცეთ. ტორპედოელებს იმედი აქვთ, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა და ქუთაისში მოღვაწე საქმისწამბი გუნდს უყურადღებოდ არ დატოვებენ და „ტორპედო“ ჩემპიონატში გამოსვლას მოახერხებს. რიონისპირელთა მთავარი მწვრთნელი დავით ჯანაშია იმედიანადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ დიდი პრობლემების მიუხედავად, ქუთაისში ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება კვლავ შესაძლებელია...

მზადების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვაკვირდებით. ორმოცდაათამდე ბიჭი იყო და მათგან რამდენიმე შევარჩიეთ. სასულეცო მუშაობა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს, გარკვეული გასასინჯი ფეხბურთელებიდან „ტორპედოში“ ვინ ითამაშებს.

- „ტორპედო“ მთლიანად ახალწვეულებით იქნება დაკომპლექტებული?
- ასეც ვერ ვიტყვი, ჩვენ გუნდის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ და აქცენტი ისევ მათზე გაკეთდება. ახალწვეულებს კი გუნდს თანდათან შევარჩევთ. გასული სეზონის შემდეგ ნაკადი გამოგვაკლდა - ლალაძე, ჩხეტიანი, ქუთათელაძე, იმედაძე და ქვილითაია. დანარჩენები კი კვლავ „ტორპედოში“ აგრძელებენ კარიერას. გარდა ამისა, „ზესტაფონიდან“ დავიმატეთ არმაზ დოლონაძე, „ბორჯომიდან“ კი რევაზ კვერნაძე. კონტინგენტის მხრივ პრობლემები არ გვექნება. ამ შემადგენლობით საკმაოდ ნორმალური გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება.

- ახლა გურ შეხვედრებს თუ გავაშვებთ?
- ერთი მატჩი უკვე გავმართეთ - გრიგოლეთში „გურიის“ ბაზაზე „ამერი-2-ს“ დაუპირისპირდით და 0:1 დავმარცხდით. გლდანელებთან ორი შემადგენლობით ვითამაშეთ. პირველ ტა-

აპირაა მოიგო, ჩიხრაძე უკაყოფილოა

ჩხური შეკრების და უფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის შემდეგ თბილისის „ამერი-2“ მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა - ახალციხის „მესხეთთან“ 1:1-ის მერე, გუმინ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრა „მიხეილ მესხე“ და 2:1 მოუგო. ეს ის აზერბაიჯანული გუნდია, რამდენიმე დღით ადრე დიღმის ბაზაზე „დინამოსთან“ 1:1-ით გაახერხა.

გიორგი ჩიხრაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: ქვაჩაია, კობაური, დავითიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, ჯუღაძე (73. შალამბერიძე), დიდავა (73. დობროვოლსკი) ბოლქვაძე (73. დეკანოზიძე), ალაღიძე (60. დოლონაძე), რ. გოციორიძე (დავითაშვილი), ტატანაშვილი (82. ცხადაძე)

პირველი გოლი აზერბაიჯანის ცამეტგუნდა უმაღლეს ლიგაში მე-9 ადგილზე გასულმა „სიმურგმა“ გაიტანა - 43-ე წუთზე გამბაროვი გამოირჩა. შესვენების შემდეგ „ამერი“ გაცილებით მძლავრად ათამაშდა, მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა და ორი გოლიც გაიტანა - გამთანაბრებელი დიმიტრი ტატანაშვილი (54) შევადლო, გამარჯვების კი სულიკო დავითაშვილი (70).

მატჩის დასრულების შემდეგ ამერიელთა თავკაც გიორგი ჩიხრაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- 2 ავჯისტოს უფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი გაქვთ პოლონურ „ბელხატოვთან“ - მანამდე კიდევ ერთი საკონტროლო თამაშს არ აპირებთ?
- თამაში აღარ გვექნება. დარჩენილ დროში მხოლოდ 2 ავჯისტოს მატჩისთვის მოვემზადებით. შეკრებაზე კი

„ბელხატოვთან“ თამაშამდე ორი დღით ადრე გადავალთ.

- „მესხეთს“ და „სიმურგთან“ მატჩებით რამდენად კმაყოფილი ხართ?
- ამ თამაშებს ჩემთვის კმაყოფილება არ მოუტანია. პრობლემები გვქონდა, ორივე თამაშში გავუშვიტე გოლი. ისე კი, „სამურგი“ „მესხეთზე“ ძლიერი მეტოქე იყო. შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ეს საკონტროლო მატჩები იყო, მოსამზადებელი ხასიათის.

- „ბელხატოვი“, „მესხეთი“, „სიმურგი“ - „ამერი“ ბოლო სამივე თამაშში გაუშვა გოლები - ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე პრობლემური თქვენს გუნდში დაცვის რგოლია?
- „ბელხატოვთან“ ორივე გოლი სტა-

ნდარტულუბიდან გავუშვიტე და ეს უშუალოდ დაცვის ხაზის შეცდომა არ იყო. სტანდარტულის დროს მეტოქეთა მეურვეობა ხომ სხვა ამპლუსის მოთამაშეებსაც ევალებათ.

- „ბელხატოვთან“ მატჩამდე ბევრი დრო აღარ დარჩა და ალბათ უკვე ფიქრობთ ტაქტიკა-სტრატეგიაზე - აქცენტს სწრაფ გოლზე გააკეთებთ?
- აქცენტი შეტევაზე გვექნება და სწრაფი გოლის გატანასაც შევეცდებით, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ გოლი გავუშვიტე, სიტუაციას კიდევ უფრო დავიძლიძობთ. გარკვეულ ფეხბურთელებს შეტევით ფუნქციებს დავაკისრებთ, დანარჩენებს მხოლოდ დაცვით - დაახლოებით ამ ტაქტიკით ვითამაშებთ.

დავით თაყაიშვილი



ტურნირი ზამთარში აფხაზეთში ფეხბურთი ყველასათვის

ზამთარში აფხაზეთში ამ დღეებში ჩატარდა საფეხბურთო ტურნირი მინი-ფეხბურთში „აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თასზე“, რომელშიც მონაწილეობდა ზემო აფხაზეთის სოფლების 1993-94 წლებში დაბადებული ბავშვებით დაკომპლექტებული ოთხი გუნდი. პირველობა წილად ხვდა აფარის გუნდს, რომელსაც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თასი და პირველი ხარისხის

დიპლომი გადასცა. შესაბამისი პრიზები და დიპლომები გადაეცათ მე-2 და მე-3 ადგილზე გასულ ჩხალის და გენჯიშის გუნდებს. საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით. დაჯილდოების ცერემონია ალს ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის წევრები, უცხოელი დამკვირვებლები და ხეობაში დისლოცირებული შსს თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა.

ამავე პერიოდში ჩატარდა „საერთა-

შორისო ღია სახალისო სკოლების“ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები 64 მოზარდის და 4 ადგილობრივი მწვრთნელის მონაწილეობით. გუნდებსა და მოთამაშეებს საჩუქრად გადაეცათ ღია სახალისო სკოლის პროგრამით გამოყოფილი ფორმები და ბურთები.

მურად ანჯაფარიძე, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბრუნავს სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

	ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
	ტელეფონის დადგმა;
	კავშირი ყველგან და ყოველთვის;
	ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
	ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში
24 საათის განმავლობაში

- უწყვეტი მომსახურება
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ჩარჩოები
- გადახდა წილიდან გაუსვლელი

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა! მხოლოდ ოპტიკურ-ბოქვოვანი ტექნოლოგიები!

დავით თაყაიშვილი
ქუთაისიდან

დავით თაყაიშვილი, ჩაპაიონი!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

